

დამტკიცებულია:	დადგენილების # და თარიღი
	შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება N4 09.03.2019

### ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია

1. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიზანია უზრუნველყოს შპს თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტში სხვადასხვა საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტების შეუფერხებელი ჩართულობა სასწავლო პროცესში.

2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება:

- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტებისთვის;
- ერთიანი ეროვნული გამოცდების ან საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხული სტუდენტებისთვის;
- ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი სტუდენტებისთვის;
- აკადემიური ჩამორჩენილობის მქონე სტუდენტებისთვის;
- განსაკუთრებული აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტებისთვის;
- გარე/შიდა მობილობით მოსარგებლე სტუდენტებისთვის;
- სტატუსადგენილი სტუდენტებისთვის;
- მსჯავრდებული სტუდენტებისთვის;
- მაგისტრატურის სტუდენტებისთვის კვლევითი კონპონენტის საჭიროებების გათვალისწინებით;
- საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლისას ან გაუქმებისას და სხვა შემთხვევებში.

3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შესაძლებელია მოიცავდეს სასწავლო კურსების ერთობლიობას ან რომელიმე კონკრეტულ კურსს, კრედიტების რაოდენობას, სწავლების სემესტრს/ებს, სტუდენტის საჭიროებიდან გამომდინარე აუცილებელ რესურსებს (რომელიც წარმოდგენილი იქნება დანართის სახით).

4. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნის პროცესში ჩართულნი არიან: დეკანი, ფაკულტეტის კოორდინატორი, პროგრამის ხელმძღვანელი, ლექტორი (საჭიროების შემთხვევაში) სტუდენტი და/ან კანონიერი წარმომადგენელი.

5. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნის პროცედურა:

- სტუდენტი და/ან კანონიერი წარმომადგენელი ელექტრონულ ბაზაში/ფაკულტეტის კოორდინატორთან შესაბამისი განახცადის შევსებული ფორმით (დანართი 1) მიმართავს ფაკულტეტის დეკანატს. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის შემთხვევაში განაცხადს თან


უნდა ერთვოდეს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

- ფაკულტეტის კოორდინატორი დეკანთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და ლექტორთან (საჭიროების შემთხვევაში) ერთად განიხილავს და შეადგენს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას (დანართი 2) და თან დაურთავს აუცილებელი რესურსების საჭიროების შესახებ აღწერას (სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის შემთხვევაში).
- ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას ამტკიცებს ფაკულტეტის დეკანი.

6. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შეცვლა/შესწორება შესაძლებელია სტუდენტის საჭიროებიდან გამომდინარე.

7. განაცხადების მიღება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის მოთხოვნით მიიღება აკადემიური სემესტრის დაწყებამდე 1 კვირით ადრე და გრძელდება აკადემიური სემესტრის დაწყებიდან 2 კვირის მანძილზე. განსხვავებული ვადები შეიძლება დადგინდეს ერთიანი ეროვნული გამოცდების ან საერთო სამაგისტრო გამოცდების გავილის გარეშე ჩარიცხული სტუდენტების, მობილობით მოსარგებლე სტუდენტებისთვის, გაცვლით პროგრამაში მონაწილე სტუდენტებისთვის.

8. სტუდენტს/კანონიერ წარმომადგენელს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ პასუხი ეცნობება არაუგვიანეს 7 სამუშაო დღისა.



**დანართი 1. სტუდენტის განცხადების ფორმა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის შესახებ**

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის  
 \_\_\_\_\_ ფაკულტეტის დეკანს, \_\_\_\_\_  
 ამავე ფაკულტეტის საბაკალავრო/სამაგისტრო  
 პროგრამის \_\_\_\_\_  
 \_\_\_\_\_ სემესტრის  
 სტუდენტის სახელი, გვარი: \_\_\_\_\_  
 პირადი ნომერი: \_\_\_\_\_  
 ტელ. \_\_\_\_\_  
 ელ. ფოსტა (სავალდებულო): \_\_\_\_\_

**გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა**

გთხოვთ, დამარეგისტრიროთ \_\_\_\_\_ სასწავლო წლის საგაზაფხულო/საშემოდგომო სემესტრის სტუდენტად და დამართოთ ნება \_\_\_\_\_ საგანმანათლებლო პროგრამიდან ავირჩიო შემდეგი საგნები:

№	საგანი	კრედიტი	№	საგანი	კრედიტი
1			5		
2			6		
3			7		
4			8		
სულ კრედიტები:					

(იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი აიღებს დამატებით კრედიტს ავსებს ამ განცხადების მეორე ნაწილს. იხ. მეორე გვერდი)

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე სემესტრში პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო 30 კრედიტის ზევით დავიმატე \_\_\_\_\_ კრედიტი. აქედან გამომდინარე, ვიღებ ვალდებულებას შესაბამისი კრედიტის (კრედიტების) საფასურს \_\_\_\_\_ ლარს გადავიხდი 2019 წლის \_\_\_\_\_

სპეციალური საჭიროების მქონე/შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტი (მონიშნეთ, თუკი ეთანხმებით და დანართის სახით წარმოადგინეთ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დამადასტურებელი დოკუმენტაცია)

მოცემულის მონიშვნით ვადასტურებ, რომ განაცხადი მე, \_\_\_\_\_/ კანონიერმა წარმომადგენელმა \_\_\_\_\_ გავაკეთე.

თარიღი \_\_\_\_\_




სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების სტუდენტი (მონიშვნის შემთხვევაში წარმოადგინეთ იმ გარემოებების აღწერა, რაც სტუდენტს ესაჭიროება სასწავლო პროცესში)

---

---

---

---

---

---

---

---

---

---

დეკანის ხელმოწერა:

თარიღი:

ბეჭედი:

სტუდენტის/კანონიერი წარმომადგენლის  
ხელმოწერა:

თარიღი: